სახალხო გაზეთი

№ 691 ოთხშაბათი, 5 სექტემბერი 1912 წ. № 691

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთათვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი
№ 12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ

„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ

ყოველ-დღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ. **სახ. გაზ. კანტორა.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაში მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

საზაფხულო ახალი კლუბი თეატრი.

ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, წარმოდგენას გამართავს გამოჩენილი ამერიკელი არტისტები **მანუს ხანუო** და პრინცესსა **იბრაგიმა გული**; მონაწილეობს აგრეთვე მისსი **ლეგანდერ**:

ზღაპარი ინდოეთზე (სამს განყოფილებაში) ღამე ტიბეტში, დასჯა ლამასი, მსხვერპლის შეწირვა კურგანზე, მოსაჩვენე ჩრდილები და სხვა და სხვა.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

თეატრში შესვლის ფასი: ერთი მანეთიდან ოც კაპიკამდე—კლუბში შესვლისა—სტუმრებთათვის—როგორც ყოველთვის. (2—1463—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.

შაბათს, 8 სექტემბერს, დამსახურ. მსახ. ბ. ვ. **ალექსი-მესხიშვილის** და გამოჩენილ მესკრიპკის ქ-ნ **თამარა ძნელაძის** მონაწილეობით გაიმართება **სალიტერატურო-სამუსიკო დილა** სამ განყოფილებად:

1) **შ. გოგებაშვილი** წაიკითხავს ლექციას: **„კოოპერაცია და მუნიციპალიზაცია“.** 2) **ვლ. ალ.-მესხიშვილი** წაიკითხავს გოგოლის შეშლილის წერილებს, ბ-ნნი ახოსპირელი, ქუჩიშვილი, ქ-ნი ო. ლეჟავა და 10 წლის **მარო ირემაშვილი** წაიკითხავენ ლექსებს.

3) სტუდენტი ი. ირემაშვილი და მისი სამი შვილი ქართულ ტანისამოსით გამოწყობილნი იმღერებენ ქართულ სიმღერებს, ქ-ნი ძნელაძე დაუკრავს სკრიპკაზე, ბ-ნნი ს ღირაშვილი—თარზე და ფირუმიან ი—ფლეიტას, რომელზედაც დამღერებს ახალ კუპლეტებს დასასრულ ქართულ საამხანაგო მომღერალთა **გუნდი მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით. ქულაჯებით გამოწყობილი შეასრულებს რამდენიმე ქართულ სიმღერას. **დასაწყ.** შუადღის 12 ს. ადგილ. ფასი 20 კ.—1 მანეთამდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

1—655—1) გამგენი: **ი. ირემაშვილი** და **არ. მეტრეველი.**

„ტფილისის ქართულ საამხანაგო

მომღერალ-მგალობელთა გუნდი“,

(დაარსებული 1910 წ.)

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მას ჰყავს 25—50 **კაცამდის შემდგარი, ახლად შეკერილ საკუთარ ქულაჯებით გამოწყობილი გუნდი,** რომელსაც ლოტბარობს **მიხეილ კავსაძე. გუნდი 1 ენკენისთვიდან** განაგრძობს თვის მოქმედებას: ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის სიმღერებს და ეკლესიურ გალობას, მონაწილეობს კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე და სხვ. როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც. გუნდის მიწვევა, ახალ წევრთა მიღება და ყოველივე პირობების გაგება იკითხეთ: 1. გუნდის გამგეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ჭრელაშვილთან,** სოდგ. მახლობ. ანდრეევის ქ., № 87. 2 მის ამხანაგ **ნოე ეგნატეს ძე ლეჟავასთან,** კვირაცხოვლის ქ., № 28, და 3. **მიხეილ კავსაძესთან,** ავჭალის მოედანი № 11. **ვაარსებთ ქართველ მუშათა მომღერალ გუნდსაც.**

(10.1449.6) **გუნდის გამგეობა.**

აგენტი მ. ა. გაჩონია

ღებულობს როგორც ტფილისის, ისე ტფილისს გარეთ გაზეთებისათვის ყოველ-ნაირ განცხადებებს.

ადრესი: 1. მიხეილის პრ., სასტუმრ. „ვეტცელი“, ტელეფ. 3—80.
(10.1436.9) 2. ვაკე, საკუთ. სახ., ქართულ გიმნაზიის ახლო, 9—25.

მიიღება ხელის მოწერა

„მოლიპულ გზაზე“ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რომანი)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი,** შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში“ და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ „ქართლის“ კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრეთვე კანტ. „იმერეთის“ ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасiи Хоштарiя. (ამ შემთხვევაში ფულის გამომგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—456—5)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 800 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასაყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.

ფოთში—იონა მეუნარგიასთან. **თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან, **ერევანში—ელენე ვირსალაძესთან**

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ბელეიშვილთან ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—153—3)

ტფილისის ქართული **ფილარმონიული** საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

გადავიდა ახალ სადგომში. (**კორგანოვის ქუჩაზე, ალ. გრ. რჩეულიშვილის სახლში № 6.**

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსა, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასის სიმღერა (solo), ელემენტარული თეორიის, ნოტების კითხვის (solfeggio), გარმონიის, ენციკლოპედიისა და გუნდის **კლასებში დაიწყება 27 აგვისტოდან** ყოველ დღე, (კვირა-უქმის გარდა), დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე სკოლის კანტორაში. სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 65 მანეთი წელიწადში, სკრიპკისა და სიმღერა (solo), 65 და 75 მანეთი თეორეტიულ კლასებში 15 მანეთი წელიწადში სწავლის ფული გადახდილ უნდა იყვეს ნახევარის წლობით. მასწავლებელთა შ ა: ფორტეპიანოს კლასში: ქ-ნ მ. ამირეჯიბისა, ნ. კ. ალაშნიკოვისა ო. მ. ბერგი-პივოვაროვისა, ე. ვ ფოგელისა და თ. ს. შაბუროვისა; სკრიპკის კლასში: მ ნ. ყარაშვილი და მ ტ. ვასილიევი; ვიოლონჩელის კლასში: [illegible] თეორიის კლასებში და ნოტების კითხვა ზ. პ. ფალიაშვილი.

ახლად მოწვეულ იქმნენ მასწავლებლებად: პეტერბურგის კონსერვატორიდამთავრებული პროფ. დუბაროვის კლას. თავისუფალი ხელოსანი ელ. გრ. ქიქოძისა და მოსკოვის კონსერვატორია დასრულებული პროფეს. იგუმანოვის კლასში თავისუფალი ხელოვანი ნ. ივ. ბაბასინოვისა.

ხმების გასინჯვა, ქალთა და ვაჟთა, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, არსებულ ქართულ გუნდისთვის მოხდება ყოველ დღე 5—7 საათამდე საღამოთი.

პრაქტიკული სწავლის დაწყების წ ნ 2 სექტემბერს. (10.1429.5)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

[illegible]	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დადვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფიდლეროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible]	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
[illegible]	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
[illegible]	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფიდლეროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible]	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დადვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
[illegible]	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
[illegible]	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
[illegible]	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „ 6 0 6 “ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 2010.109)

ექიმი ი. ე. ჯაშის **კაბინეტი**

შინაგანი და დედ. ავადმყ., სადოსტაქრო ავადმყ. ამბულატორიით მიიღებს **15 სექტემბრიდან** -დილ. 8—11 საათ.; საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. (25.1480.2)

ექიმი ს. ი. **ბძელიშვილი**

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბორონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—39)

ექიმი ი. ი. **ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. (25—1178—905)

ექიმი ა. ნ. **დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი შ. ა. **მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვ-ათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:

ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი	50 კ.
გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი	85 „
მოძრავი ანბანი—კარდონზე	30 „
ანბანი კუბიკებზე . . .	1 მ.—
წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ, II, ...	50 „
წყარო, იმსავე, ანბანი და პირველ საკითხავი . . .	25 „
არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით .	40 „
იგივე ნაწილი II, ყდით .	50 „
მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია	35 „
მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . .	35 „
მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ქიქ.	20 „
ფიზიკური გეოგრაფია . .	20 „
ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ.	50 „
ყუბანეიშვილი. პირ.-დაწყ. სწავლება საღვთო სჯულზე, ყდ.	30 „
ახალი აღთქ. სამღ. ისტ., მისივე	40 „
ძველ. აღქმ. სამღ. ისტ. მისივე	50 „
ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა წყვილი	5 „
ათასამდე ყოველი ასის ფასი	2 მ. 40 „
ათასზე მეტი ყოველი ასი	2 მ. 30 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1141.115)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ ბლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 374)

პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი

ე. გ. ქიქოძისა აძლევს მუსიკის (როიალი) გაკვეთილებს.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11. (23.651.2)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავად მყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. მოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურიდა ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-ით.

(წლ—1018—7)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს **იღებს** ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—79)

ექიმი პ. **არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.190.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. **ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე (ო—10.49—135)

ექიმი ალ. **სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—7 საათ. გოლოვინის პრ. № 12. (თ.1334.5)

ექიმი ე. **ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ექიმი ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე**

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე

ექიმი ქალი **დ. გ. საყვარელიძე.**

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.16)

ვის ვირჩევთ?

1.

ქართველობის წინაშე ხელ-ახლა წარსდგა სახიფათო და თავსამტვრევი საკითხი. მან უნდა საჯაროდ გამოსთქვას თავისი გულის ნადები, უნდა ნათლად სთქვას, რა უყვარს და რა სძულს და აქვს თუ არა მას რაიმე ეროვნული და სოციალ-პოლიტიკური იდეალები. ქართველობას არ უყვარს პირისპირ წარდგომა ამგვარ საკითხთა წინაშე. ზერელე აზროვნებას მოკლებული, იგი გაურბის დახლართულ მდგომარეობას და სერიოზულ პრობლემებს. მაგრამ ცხოვრება ულმობელია: მის ძახილს ყურს ვერვინ მოარიდებს და მის მოთხოვნას ზურგს ვერვინ შეაქცევს. გინდა თუ არა, „ჰო თუ არა“ უნდა სთქვა. თუ ვერ მოახერხე და არ იცი რა სთქვა—ჰო თუ არა, პატარა ხანს დაგაცლის გარემოება, ხოლო იმ განზრახვით, რომ აღნიშნულ დროზე კიდევ მოგადგეს და კიდევ გადაჭრით და შეუპოვრად მოგთხოვოს პასუხი მის მიერ წამოყენებულ საკითხზე.

დღეს ამ მდგომარეობაში ვართ. მართალია, ჩვენი დღევანდელი ყოფა-ცხოვრება ანორმალურია. ანორმალურ პირობებში ვცხოვრობთ, ანორმალურ პირობებში უნდა მოხდეს ჩვენში საარჩევნო საქმე. არც წინასწარი მომზადება, არც ამომრჩეველთან გამოსაუბრება, არც პროგრამების და მიმართულებათა აწონ-დაწონვა პრესასა და მიტინგებზე. და მიუხედავად ამისა, ცხოვრება მაინც ითხოვს ჩვენგან გადაჭრილ სიტყვას და პასუხს: ვის ვირჩევთ? რა ხასიათისაა ჩვენი ეროვნული და სოციალ-პოლიტიკური იდეალები?

და დღეს ჩვენი ამომრჩეველი კრებულს და წრეს არ წარმოადგენს, არამედ განკერძოვებულ ინდივიდს. და ამ განკერძოვებულმა ადამიანმა, საზოგადოებრივობას მოწყვეტილმა, სოლიდარობის წყაროს დაშორებულმა, უნდა გადასწყვიტოს დღეს ცხოვრების მიერ წამოყენებული საკითხი.

რა ქნას ამომრჩეველმა, როგორ მოიქცეს, როგორ გადასწყვიტოს თავისი საკუთარის, განკერძოებულის ძალ-ღონით ის, რაც საჯაროდ, კრებულად უნდა წყდებოდეს. ძნელი და უნუგეშო ყოფაა. მაგრამ წუწუნი არას გვიშველის. უმჯობესი იქნება გავითვალისწინოთ ჩვენი საზოგადო მდგომარეობა, დავაკვირდეთ საზოგადოებაში მოარულ მიმართულებათ, ავწონ-დავწონოთ სხვა და სხვა ჯგუფთა ღირებულება და მით მაინც დავეხმაროთ ალალბედზე მიგდებულ და მიტოვებულ ამომრჩეველს.

ჩვენს საზოგადოებაში დღეს სამგვარ აზრთა მიმართულებას შეამჩნევთ. ერთი მიმართულება თავად-

აზნაურულ ინტელიგენციისა ზომიერ—პროგრესიულია. ეს მიმართულება განსაკუთრებულად მომხრეა იმისი, რომ კავკასია და კერძოდ საქართველო უფლებრივად გათანასწორებული უნდა იყოს ცენტრალურ გუბერნიებთან. ამ მიმართულების წარმომადგენელნი წინააღმდეგნი არ არიან ერობის და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებისა და უმაღლესს სასწავლებლის დაარსებისა. რაც შეეხება ეკონომიურ საკითხებს, აქ ისინი უფრო თავდაჭერით ირჯებიან. საყურადღებოა, რომ ტფილისის თავად-აზნაურთა პროექტი დროებით ვალდებულობის მოსპობისა გაცილებით უფრო ზომიერია, ვიდრე ამავე ხასიათის პროექტი კავკასიის მმართველობის მიერ შემუშავებული. პოლიტიკურ სფეროში ამ მიმართულების წევრნი წინააღმდეგნი არ არიან „კონსტიტუციისა“, თუმცა არც ბიუროკრატიული რეჟიმიც აქვთ მათ მოძულებული. რაც შეეხება ეროვნულ საკითხს აქ მათი გრძობა და აზროვნება ტრადიციულია, თავად-აზნაურულია, ნუ მოსთხოვთ მათ საკითხის ფართოდ დაყენებას. რუსთა კოლონიზაციის შემცირების საჭიროება და სამშობლო ენის ხმარება პირველ-დაწყებით სკოლებსა და ეკლესიაში. ამაზე შორს არ მიდიან თავიანთ მოთხოვნებში. ისინი ამბობენ: ნუ გავაჯავრებთ და ნუ ავამხედრებთ ჩვენს წინააღმდეგ რუსეთში გაბატონებულ ჯგუფებს. ნუ მივცემთ საბაბს უნდობლობისათვის. გვესმის, გვჯერა, ბევრი რამ გვესაჭიროება, მაგრამ გვირჩევნია ცოტა რამ მოვითხოვოთ, ვიდრე ყოველივე დავკარგოთ. აი თუნდა ავტოკეფალია ვინ ამბობს, საჭირო ჩვენთვის. მაგრამ ხომ იცით რა თვალით უყურებენ ავტოკეფალიას —სეპარტიზმიაო. და ჩვენც თავი დავანებოთ. რად გვინდა სეპარტისტების რეპუტაცია რომ შეგვრჩეს! რაც შეეხება ავტონომიას ამ „მაცდურობას“ ამ წრეებში ხუმრობითაც არ იხსენიებენ. სამაგიეროდ ხელგაშლით ირჯებიან თავდაბლობის გრძნობათა გაზიარებაში. უყვართ ჩამოთვლა წმ. გიორგის ჯვრის კავალერთა გვარებისა. უყვართ ბაქიაობა და ტრაბახი უქვეშევრდომილესი გრძნობებით თანაც ვაჭრული ლაბიდი მსხვერპლი შესწირეს, ერთგულად ემსახურებოდნენ, ამიტომ ღირსნი არიან მეტის ყურადღებისა და პატივისცემისაო. ეს არის ბაზა მათის ეროვნულის საქმიანობისა.

ამ გვარად, რომ დააკვირდეთ ამ ხალხის აზროვნებას, აშკარა გახდება თქვენთვის, რომ აქ პრინციპებს და იდეალებს არავითარი ადგილი არა აქვთ. ამ ხალხის პრინციპი-მოქმედება გარემოების მიხედვით, უარყოფა ეროვნულის თავისუფლებისა და ძლიერთა ნება-სურვილისათვის ფეხის აყოლება. ამ მიმართულების ხალხი უკანასკნელ ხანებში საკმარისად გამრავლდა ჩვენში და დღევანდელი არჩევნების სვე-ბედიც თითქმის მათს ხელშია. და თუ საარჩევნო სისტემის უვარგისობის გამო ვერ ვსძლიეთ ეს მიმართულება, ჩვენს მოვალეობას მით მაინც ავასრულებთ, რომ შავ კენჭებს ჩაუყრით ამ წრის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს ამერ-იმერში.

არის ჩვენს საზოგადოებაში სხვა მიმართულებაც—ყოფილი დეპუტატები და მათი მომხრენი. მათ სასარგებლოდ ის უნდა ითქვას, რომ გარკვეული და მკაფიოდ გამოსახული ფიზიონომია აქვთ. მათს დემოკრატიზმის შესახებ ეჭვი არავის დაებადება. და რუსეთის დემოკრატიულ საქმეს ისინი ყოველთვის მედგრად ემსახურებოდნენ, პირადი ინტერესების დაუზოგველად. მაგრამ ამ მიმართულებას, საუბედუროდ, ფრიად სუსტი მხარეც აქვს. საქმე ის არის, რომ ისინი შეადგენენ ნაწილს რუსეთის პარტიისას. ამ პარტიაში ისინი შედიან როგორც შემადგენელი ელემენტი და არა როგორც ავტონომიური ნაწილი და ამ გვარად ხელფეხი აქვთ შეკრული ცენტრალურ ორგანოების მიერ. ცენტრალისტებს არა მარტო საორგანიზაციო სფეროში, არამედ პოლიტიკურ საკითხებშიაც, ამ ორგანოებს სრულიად შეუმუშავებელი აქვთ ეროვნული პროგრამა. და შედეგი ამისა ის იყო, რომ მესამე სათათბიროში ჩვენი დეპუტატების ეროვნული საქმიანობა განისაზღვრებოდა მარტოოდენ სამშობლო ენის მოთხოვნაში პირველ დაწყებით სკოლებისათვის. მათ ჰქონდათ საშუალება უფრო ფართოთ დაეყენებინათ ეროვნული საკითხი, მაგრამ ცენტრალისტურ ტრადიციებში გაწვრთნილნი, შეზღუდულნი პარტიის ორგანოებით, მათ არ გადასდგეს ეს ნაბიჯი და მით თითქმის უღალატეს ნამდვილ დემოკრატიულ პრინციპებსაც, რომელნიც მოითხოვენ დაჩაგრულ ერების მოსარჩლეობას და დაცვას ძალმომრეობისაგან.

უნდა ითქვას, რომ ამ წრეებში დღეს დიდი რყევაა—ბევრს ლაპარაკობენ და სჯიან ეროვნულ საკითხის შესახებ. პარტიული პროგრამა ბევრს აღარ აკმაყოფილებს. მაგრამ ამ მოძრაობას და ლაპარაკს იმ დრომდე არ ექნება არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა, სანამ ისინი ან ცენტრალურ ორგანოებს არ მიაღებინებენ თავიანთ ახალ პროგრამას, ან სხვაგვარ დამოკიდებულებას არ დაიჭერენ აღნიშნულ ორგანოებთან, სახელდობრ, იმგვარს, საცა მათ მოპოებული ექნებათ მოქმედების თავისუფლება.

ამბობენ, ამ ხალხს უნდა მივცეთ ჩვენი დახმარება და ავარჩევინოთ ძველებური ტიპის დეპუტატებიო. ჯერაო დემოკრატული საქმე დასრულებული არ არის რუსეთში, რუსეთთან ერთად საერთო მისწრაფება ბევრი გვაქვს და აღნიშნული ტიპის დეპუტატები სწორედ რომ საუცხოვოდ აასრულებენ ამ ხასიათის დავალებასაო.

თუ ჩვენში სხვა ტიპის დემოკრატები არ არიან, მზად ვარ დავეთანხმოთ ამ აზრს. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. დიფერენციაცია ჩვენის საზოგადოებრივ ორგანიზმისა საკმარისად გართულებულია. და ყველასთვის აშკარაა, რომ დემოკრატიულ წრეებში გარდა ცენტრალისტებისა არიან დეცენტრალისტებიც და რომ ამ დეცენტრალისტთა ჯგუფში მოიპოვებიან იმისთანა პირნი, რომელნიც მედგრად დაიცვენ საერთო დემოკრატიულ პრინციპებსაც და ამასთან შემუშავებულ ეროვნულ პროგრამით წარსდგებიან სათათბიროს წინაშე. ვიმეორებ, თუ გადასაწყვეტი მარტოოდენ ის ყოფილიყო —ცენტრალისტი დემოკრატი თუ ზომიერი პროგრესისტი—ჩვენი ყოყმანი შეუძლებელი იქნებოდა და ჩვენი თეთრი კენჭები დემოკრატებს ერგებოდათ. და მართლაც პრაქტიკულად რომ ამგვარი დილემმა წარსდგეს და დეცენტრალისტებს დამოუკიდებელი მოქმედების უნარი წართმეული ექნებათ, მათი ხმები, ჩემის შეგნებით, ცენტრალისტების ხმებს უნდა მიემატოს. დიალ, ამას პირდაპირ ვამბობთ. გვირჩევნია ცენტრალისტი დემოკრატი იყოს ჩვენი დეპუტატი, რაც გინდ წინააღმდეგი ვიყოთ მათის მოქმედებისა, ვიდრე უსულო, უტემპერამენტო, უპრინციპო და უიდეალო ზომიერი პროგრესისტი. პირველნი რუსეთის დემოკრატიას მაინც ემსახურებიან, მეორენი კი არავის სამსახურს ვერ შესძლებენ. დიალ, საქმე რომ ასე ყოფილიყო, ასედაც მოვიქცეოდით, მაგრამ სინამდვილე სხვას გვიკარნახებს და ჩვენც მოვალენი ვართ სხვა გარემოებაც მივიღოთ მხედველობაში და მის მიხედვით ვიმოქმედოთ.

ამის შესახებ ხვალ.

არჩილ ჯორჯაძე.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ** 3 სექტემბერს: „კავკაზ“-ის რედაქტორი როტმისტრი ა. ს. სლოვიცკი და ბაქოს გრადონაჩალნიკი პოლკოვნიკი პ. ი. მარტინოვი.

◆ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო.** როგორც გავიგეთ, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის კანდიდატებად ტფილისის საერთო კურიიდან ასახელებენ შემდეგს პირთ: ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს, კარლო ჩხეიძეს, თავ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილს (პეტერბურგელ ნაფიცს ვექილს), ა. ა. ქალანთარს და ქალაქის გამგეობის წევრს გ. დ. ჟურულს.

◆ **გორის ეპისკოპოსი ანტონი** ხვალ კახეთს მიემგზავრება, სადაც 8 სექტემბერს შუამთის მონასტრის დღესასწაულს დაესწრება. 9 სექტემბერს თელავში იქნება მწირველი, ხოლო 14 სექტემბერს, ალავერდის მონასტერში.

◆ ამას წინედ მოხსენებული გვქონდა, რომ მღვდელი ხვთისავარიშვილი **სიღნაღის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურედ** დანიშნესო. ეს ამბავი მართალი არ გამოდგა. სათანადო მთავრობას ამ თანამდებობაზე ჯერ არავინ არ გაუმწესებია. მთხოვნელები ბევრნი არიან.

◆ **ყაჩაღის შეპყრობა.** ტფილისში შეიპყრეს ყაჩაღი ივანე კუპატაძე, რომელიც გორის მაზრის სოფელ კავთისხევის მცხოვრებ ივანე ტერტეროვის სახელით სცხოვრობდა. სხვა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენისათვის იგი რამდენჯერმე ყოფილა გადასახლებული, მაგრამ თავის ნებით დაბრუნებულა. უკანასკნელ ხანში მას ბევრი დიდი ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია. მას, სხვათა შორის, ბრალდება: 1) ლადო ფეიქრიშვილთან (მოჰკლეს) და მანიაშვილთან ერთად სოფ. მარტყოფში მღვდლის ეპიტაშვილის სახლზე თავდაცემა და მღვდლის გაკრეჭა, 2) ხაშურის გიმნაზიელ არუწოვის მოტაცება, 3) მარტყოფელ მეწვრილმანეების დახოცვა და სხვ.

◆ **თავად-აზნაურთა შორის.** როგორც ვწერდით, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის უკანასკნელი არჩევნები უმაღლესმა მთავრობამ გააუქმა. ახალის არჩევნების დანიშვნა მაისისთვის არის განზრახული. გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობის აღსრულებას დროებით შეუდგა ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

◆ **სეირნობა.** სახალხო გასართობთა საზოგადოების სასარგებლოდ 9 და 10 სექტემბერს ვერაზე, „ფიქრის გორა“-ზე უფასო სახალხო სეირნობა გაიმართება.

◆ ქ-ნ ეფემია მესხს **გადაუთარგმნია** სამი პიესა: 1) „ზღაპარი“, არ. შნიცლერისა, 2) „ნიაღვარი“, გალბესი და 3) „სიჭაბუკე“, გალბესი.

◆ დაბა ჩხარის (შორაპნის მაზრა) მღვდ. არტაშეს გაფამაჯიანს გამოუგონია **„ეგზემას“** წამალი. „ექსეკზემატელი“. პეტერბურგიდან სამკურნალო განყოფილების მთავარი ინსპექტორი სთხოვს, გაუგზავნოს მას ერთი კოლოფი ამ მალამოსი და აცნობოს თუ სად აწარმოებს მის დამზადებას.

◆ შაბათს, ხვთიშობლობის დღეს, **ბეთანიის მონასტრის დღეობაა.** ამის გამო ბერ-მონაზონ სპირიდონის თაოსნობით მსურველთათვის [illegible] შუადღევის 3 საათზე სემინარიის ძველ შენობასთან იქნება „ლინეიკა“.

◆ შეიპყრეს ტფილისში განჯის მაზრის მცხოვრები ავეტის სარქისას ძე ნაზარიანცი, რომელსაც სამართალში აძლევენ სისხლის სამართლის მე-169 მუხლის ძალით.

◆ უკვალოდ დაიკარგა დიმიტრი მიროშნიჩენკო.

◆ 3 სექტემბერს ტფილისში 81 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს** კრება ორშაბათს, 10 სექტემბერს მოხდება. სხვათა შორის, განხილულ იქმნება საკითხი წესიერ დასვენების ახალ სავალდებულო წესების შეცვლის შესახებ.

◆ **ქალაქის სასკოლო კომისიის** მიერ არჩეულ მცირე კომისიის კრება 3 სექტემბერს მოხდა იმ პირთა თხოვნების განსახილველად, რომელთაც საქალაქო სკოლებში მასწავლებლობა სურთ. თხოვნა სულ 200-დე იყო. თავისუფალი ადგილები ამ ჟამად არ არის, მაგრამ მოკლე ხანში რამდენიმე ადგილის განთავისუფლება არის მოსალოდნელი. მცირე კომისიამ 200 მთხოვნელისაგან ამოარჩია მხოლოდ 29 კაცი, რომელთაც საცდელად საქალაქო სკოლებში გაკვეთილებს მიაცემინებენ. ამ 29 კაცისაგან სასკოლო კომისია გამოცდის შემდეგ აარჩევს 5 კაცს, რომელნიც კანდიდატებად ჩაირიცხებიან. მცირე კომისიას ამ დღეებში კიდევ ექნება კრება.

სასწავლებლებში.

◆ **უმაღლესი საპოლიტეხნიკო კურსები.** 1 სექტემბერს ნამესტნიკის თანაშემწეს სენატორს ვატაცის წარუდგა ქალაქის საბჭოს ხმოსანი ინჟენერი ა. ს. ბაბოვი და 26 ინჟენრის სახელით ტფილისში საპოლიტეხნიკო კურსების დაარსების ნებართვა სთხოვა. სენატორი თხოვნას თანაგრძნობით მიეგება და სურვილი გამოსთქვა, რათა კურსებს პრაქტიკული ცოდნის მიმცემ სასწავლებლის ხასიათი მიეცეს და არა ენციკლოპედიურისა. ამას გარდა დასძინა, რომ ჰიდრო-ტეხნიკურ განყოფილების საქმის დაყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რადგანაც ჰიდრო-ტეხნიკურ ცოდნის გავრცელებას კავკასიისთვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვსო.

◆ **ვ. ჩერქეზიშვილის სახელობის საქალაქო სკოლა.** გუშინ ქალაქის გამგეობის სატეხნიკო საბჭომ ხმოსნის ინჟენერის ა. ს. ბაბოვის მონაწილეობით განიხილა ქალაქის მოურავად ნამყოფ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სახელობის საქალაქო სკოლის პროექტი, რომელიც შეადგინა ქალაქის არქიტექტორმა, ჩისლიევმა. შენობას ააგებენ ანდრეევის ქუჩაზე. შენობა ორსართულიანი იქნება და დაჯდება 80,000 მ. სატეხნიკო საბჭომ როგორც პროექტი, ისე ხარჯთ-აღრიცხვა მოიწონა. პროექტს ამ დღეებში განიხილავს ქალაქის სასკოლო და სასკოლო-სამშენებლო კომისიების შეერთებული კრება.

◆ ტფ. ქალთა უმაღლესმა კურსებმა წელს ხაზინიდან მიიღო დახმარებად 1,834 მან.

სასამართლო

◆ **ტფ. სასამართლო პალატის სესია** ტფილისიდან გაემგზავრა 3-დან 12 სექტემბრამდე ქუთაისსა, ბათომსა და გაგრაში საქმეების გასარჩევად.

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** საქმეების გასარჩევად თიანეთს გაემგზავრა.

სოფლად

◆ **დ. ხარაგოული.** ადგილობრივ სადგურის მახლობლად, ხევში იპოვეს უცნობი კაცის გვამი. მისი ვინაობა ვერ გამოარკვიეს, რადგანაც პირისახე მიწისაგან შეჭმული აქვს. ეტყობა წარმოსადეგი ვაჟკაცი ყოფილა. შავი ხალათი და შალვარი აცვია. [illegible] ექიმს ჯერ არ შეუმოწმებია.

ჟურნალისტის დღიური

80.

ქართველი ჩინოსნები.

ჩვენი დღევანდელი სინამდვილე ბევრს საყურადღებო მასალას გადაუშლის დაკვირვებულ მემატიანეს. ყოველ-დღიური ცხოვრება ხანდისხან უფრო მკაფიოდ გამოჰხატავს ეროვნულ ორგანიზმის დაავადებულ ნაწილებს, ვიდრე ისეთი მოვლენანი, რომელთაც ერთის შეხედვითვე ყველასთვის თვალსაჩინო ხდება. ამ ყოველ-დღიურ ცხოვრებაში თავს იჩენს ხოლმე ავადმყოფობანი, რომელნიც თავის-თავად თითქოს დიდს არაფერს წარმოადგენენ, მაგრამ საბოლოოდ კი ძირშივე შხამავენ ჩვენს საზოგადოებრივ ატმოსფერას და ამჟღავნებენ იმ ანორმალურ პირობებს, რომლებშიაც უხდება განვითარება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ჩვენს ერს მჭიდროდაა აქვს გარს შემოვლილი დენაციონალიზაციის ჯაჭვი. უხეში გარეგანი ძალა ნელნელა, მაგრამ სისტემატიურად ძირს უთხრის იმ საძირკველს, რომელზედაც მთლიანი ეროვნული შენობა უნდა აიგოს. ამ ძალის სისტემატიურმა მუშაობამ თვით ჩვენს ორგანიზმში დაჰბადა ისეთი ძალები, რომელნიც კი არ ეწინააღმდეგებიან, პირ-იქით, ხელს უწყობენ დენაციონალიზაციის სწრაფლ განვითარებას. გადაავლეთ თვალი ჩვენს სინამდვილეს და ამის დამამტკიცებელ საბუთს ბევრსა ჰნახავთ. რა არის, თუ არა ჩვენისავე ძალ-ღონით შექმნილი, მაგრამ ჩვენი ეროვნული ცხოვრების წინააღმდეგ მიმართული რუსული გაზეთები, მიუხედავად იმისა, პროგრესიულია იგი თუ კონსერვატიული? ყოვლის მხრით გადაგვარებულს ქართულს ოჯახს განა კიდევ ესაჭიროება ისეთი რუსული პრესა, რომელიც ქართულს შინაურს საქმეებს ემსახურება? რამ დაჰბადა, თუ არა იმავ ძალამ, უკიდურესი გატაცება პროგიმნაზიებით, მაშინ როდესაც დენაციონალიზაციის რგოლმა ისე წაგვიჭირა ყელში, რომ სულ-ქმაც კი შეგვიკრა? მრავალი ასეთი საბუთის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ამ ჟამად ჩვენ სულ სხვა მხარე გვაინტერესებს.

იქ, სადაც ერი ჩვენისთანა პირობებში სცხოვრობს, თავის-თავად, ინსტინქტიურად იბადება სათანადო საშუალებანი თავის დაცვისა. ჩვენისთანა პირობებში ჩაყენებული ერის სხვა და სხვა დაწესებულებანი ურთიერთს შორის აბამენ ერთგვარ ინტიმურ კავშირს. ორგანიზაციულად დაშორებულნი, მოწყვეტილნი ერთი მეორისაგან თავის პირდაპირ მიზნებით,—ისინი მაინც ჰგრძნობენ, რომ არსებობს ერთგვარი შემაერთებელი ძაფი, ერთგვარი საერთო მიზანი, რომელსაც თვითოეული მათგანი შეძლებისამებრ უნდა ემსახუროს. მათ შორის არასოდეს კონ

მრეწველობა და უცხო კაპიტალი საქართველოში

„კოლხიდამ“ და „თემმა“ უცხოეთის კაპიტალის მნიშვნელობაზე თავთავიანთი აზრები უკვე გაუზიარეს მკითხველებს. ამ საგანზე ჩვენ რამდენჯერ გვქონდა საუბარი „სახალხო გაზეთში“. იქ ჩვენ ხშირად ვეხებოდით მრეწველობის ძალას ჩვენს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში და ვაღიარებდით, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის, სოფლის მთელ კულტურის და ინტელექტუალურ ცხოვრების განუვითარებლობის მთავარი მიზეზი ქართველთა მწარმოებელ ძალების განუვითარებლობაში უნდა ვეძიოთ, რომელიც თავის მხრით სამრეწველო კულტურის დაკნინებაშია ჩამარხული.

ეხლა საგანგებო წერილს ვუძღვნით ამ ფრიად საინტერესო საკითხს.

მართლაც, ყოველ მოვლენას, ყოველ საკითხს, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ჩვენმა მწერლობამ ყურადღება უნდა მიაქციოს და ყოველის მხრით გამოარკვიოს. შესაძლებელია მოვლენა ერთის შეხედვით ფრიად მოსაწონი, ფრიად მომხიბვლელი იყოს, მაგრამ ნამდვილად მისი შინაარსი ყოვლად შეუსაბამო რამ იყოს და დუხჭირი. ამიტომ მოვლენის ყოველი მხარე უნდა იქმნას აწონილ-დაწონილი, რომ გარკვეულ საგანთან ისეთი დამოკიდებულება დავიჭიროთ, რანაირიც შეეფერება მთელი ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საქმეს.

ასე უნდა მოვიქცეთ მაშინაც, როდესაც საქმე უცხოეთის კაპიტალს ეხება.

საზოგადოდ, კაპიტალის გაბატონებას და შემოსვლას თავისი საკუთარი ინტერესები და ძალა აქვს. კაპიტალის შემოსვლას ჩვენს ქვეყანაში ვერც ვისმეს მითქმა-მოთქმა შეაფერხებს, როგორც „თემსა“ ჰგონია, და ვერც მისი სიდიადის ქება და გაზვიადება. თუ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა უცხოეთის კაპიტალის შემოსვლას არავითარ დაბრკოლებას არ უყენებს, ასეთ შემთხვევაში კაპიტალი აუცილებლად შემოიჭრება იქ, სადაც ის მეტს ხეირს, მეტს სარფას ნახავს. უცხოეთის კაპიტალი უწინარეს ყოვლისა თავის სარგებლისათვის მოძრაობს — ისე, როგორც ყოველი საშინაო კაპიტალიც. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ უცხოეთის კაპიტალი მეტს შემთხვევაში იმ საქმეში იბანდება, რომლის სარფიანობა ადგილობრივ მცირე კაპიტალის შემწეობით უკვე აშკარად არის დამტკიცებული. გაითვალისწინეთ, მაგალითად, ჭიათურის, ტყიბულის და სხ. წარმოება და თქვენ დაინახავთ, რომ უპირველესად ეს წარმოება დაიწყო და აღსდგა ადგილობრივის, საშინაო კაპიტალის შემწეობით; ამ საშინაო კაპიტალმა დაიწყო პირველი საქმე და როგორც მრეწველობამ თავისი სახე გამოაშკარავა, დაამტკიცა თავისი სიმდიდრე, მაშინ მყისვე გამოჩნდნენ უცხო კაპიტალისტებიც და თავის შეძლებით ხელთ ჩაიგდეს კიდეც. აგრე მოხდა ჭიათურაში, აგრე მოხდა ტყიბულში, აგრე მოხდა და ხდება ბაქოს ნავთის მრეწველობაში, სადაც ინგლისელებმა და რუსეთის წარჩინებულმა პირებმა ნობელსაც გამოაცალეს ბატონობის საძირკველი. ბათუმის ოლქის ამბები ხომ ყველასათვის ცნობილია. მატიევიჩი მთელ სპილენძის მრეწველობას დაეპატრონა.

ამ რიგად უცხოეთის კაპიტალი ორს შემთხვევაში შემოდის მხარეში: როდესაც მთავრობა კაპიტალის შემოსავალს, ნორმალურ სარგებელს უზრუნველ ჰყოფს, ე. ი. იძლევა გარანტიას და მეორე შემთხვევაში, როდესაც მრეწველობას თავი გამოჩენილი აქვს და წარმოების სინამდვილე აშკარად მოწმობს, რომ მასში ჩაყრილ კაპიტალს შეუძლიან დიდი სარგებელი მოუტანოს. ამიტომ უცხოეთის კაპიტალი მეტი სისხლის მწოველია ადგილობრივ ბუნებისა და საზოგადო შრომისა, ვინემ საშინაო კაპიტალი, რომელიც იზრდება და ვითარდება ნორმალურ პირობებში: ხალხში სხვა და სხვა სამრეწველო ნაყოფისათვის ბაზრის გახსნით.

უცხოეთის კაპიტალს კიდევ სხვაცა აქვს უარსაყოფი მხარეები. უმთავრესი ის არის რომ მსხვილი კაპიტალის მსხვილი შემოსავალი ერთბაშად გადის უცხო ქვეყნის ბანკებში და ამნაირად ეროვნულ მხარეს. ის დიდძალი ფული აკლდება, რომელიც ნამდვილად შექმნილია ადგილობრივი შრომის და ბუნების ექსპლოატაციით. საშინაო კაპიტალი ამ ზედ-მეტ ღირებულებას ადგილობრივ საქმეებში მოიხმარდა და იქიდან მეტი სიმდიდრის შექმნა იქნებოდა შესაძლებელი. მეორე მხრივ, უცხოეთის კაპიტალი ხშირად აბატონებს თავის ერის ძალებს. იყვანს თავის მოსამსახურეებს, მართველებს და მხოლოდ შავ საქმეებში და წვრილ ადგილებში იყენებს ადგილობრივ ძალებს. (ასე უმეტესად ინგლისელები სჩადიან ჩვენში). შეიძლება ყოველივე ეს წვრილი რამე იყოს, მაგრამ მასაც აქვს მნიშვნელობა, რასაც აუცილებლად ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში.

ყოველი ეს ანგარიში წმინდა ბურჟუაზიული ანგარიშია. ეს არის მოგების განაწილების კითხვა: არა მე და არა მეო. მაგრამ ამ ბურჟუაზიულ ანგარიშში მწარმოებელ ხალხს, მუშებს და მოსამსახურეებს საერთოდ ნაკლებად აქვთ ალაგი. მთელ ქვეყნის ინტერესებს ხომ არ შეადგენს წვრილი ბურჟუაზიული ანგარიშები? მთელ ქვეყნის ინტერესი კი **ეკონომიურ ცხოვრების გამოცოცხლება და მწარმოებელ ძალთა განვითარებაა.**

მწარმოებელ ძალთა განვითარების თვალთა ხედვის წერტილიდან არის თუ არა სასურველი უცხოეთის კაპიტალის განვითარება ჩვენში?

საზოგადოდ, როდესაც ეკონომიურ მოვლენებზე ვლაპარაკობთ და ვარკვევთ რთულ საკითხებს, ასეთ შემთხვევებში მსჯელობა მუდამ უნდა იქმნეს წარმოებული პიროვნების მოწონ-დაწუნების, სურვილის თუ წინააღმდეგობის გარეშე. მოვლენა ობიექტიურის თვალსაზრისით უნდა გადაიჭრას და ამიტომ კითხვას ჩვენ შემდეგ ნაირად დავსვამთ: გაავითარებს თუ არა უცხოეთის კაპიტალი ადგილობრივ მწარმოებელ ძალებს?

უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ კაპიტალი, რა რიგ მხეცური მიზანი არ ქონდეს მას და რა რიგ სასტიკად არ ანხორციელებდეს თავის ინტერესებს, და ბოლოს მაინც პროგრესიულ როლს თამაშობს ცხოვრებაში, ის აუცილებლად იწვევს წარმოების და მწარმოებელ ძალთა განვითარებას. კაპიტალი უნდა გაბატონდეს, განვითარდეს. ჩვენს ცხოვრებაში ეს აუცილებელია. ამ ასპარეზზე საქართველომ უკვე სთქვა ანი, ბანიც აუცილებლად უნდა იქმნას წარმოთქმული.

როდესაც მე-XVI და მე-XVII საუკუნოებში კაპიტალიზმა ფეხი აიდგა ინგლისში, მან ისეთ მკაცრ ფორმებში გამოხატა თავისი წინსვლელობა და გამარჯვება, რომ უდიდესი ნაწილი შეერთებულ სახელმწიფოს ხალხისა ერთიანად იქმნა გაძვალტყავებული. მიუხედავად ამ სიმკაცრისა, ინგლისის საერთო ცხოვრება ყოველმხრით დაწინაურებულია, არა თუ მარტო საქართველოსა და რუსეთთან შედარებით, არამედ მთელ დედამიწის ზურგზედაც კი.

მოგეხსენებათ აგრეთვე ინგლისის ახალ-შენების ბედი ამერიკაში, აფრიკაში, აზიასა და ავსტრალიაში. ინგლისის კაპიტალმა ამ ქვეყნებში დაუყოვნებლივ მოიკიდა ფეხი და თავისი მსვლელობა ყოვლად შეუწყნარებელ და აღმაშფოთებელ ფორმებში გამოხატა. ამ კაპიტალმა არა თუ მეტროპოლიისაკენ წაიღო დივიდენდი, წმინდა სარგებელი, არა თუ გააბატონა თავისი ერის ხალხი, კიდევ მეტი—ადგილობრივ ძალებს პირდაპირ მუსრი გაავლო, გაჟლიტა და გაატყავა კაპიტალის სამსხვერპლოზე*). მიუხედავად ასეთი სისასტიკისა ახალ-შენების საერთო ეკონომიური, სოციალური და კულტურული ცხოვრება დაწინაურდა და ველური ხალხი განვითარდა, განათლდა, გაევროპიელდა. დღეს ამ ველურების ქვეყანაში დემოკრატიულ რესპუბლიკის მზგავსი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობაა მოწყობილი ავტონომიურ წყობილების საფუძველზე. ყოველივე ეს აუცილებლად გახდა შემდეგი ინგლისის კაპიტალის უცხო ქვეყნებში გამოყენების და განვითარების.

ბჟტ.

---

*) რა თქმა უნდა ასეთ მკაცრ ფორმებს უცხოეთის კაპიტალი ჩვენში ვეღარ მიიღებს, რადგან ჩვენ მეტად დაწინაურებული და განათლებული ვართ ავსტრალიის და სხ. ქვეყნების ველურებთან შედარებით.

ფლიქტი არ იბადება, ვიწროდ შემოფარგლული კერძო მიზნები ამა თუ იმ დაწესებულებისა არა ჩრდილავს საერთო მიზანს და მით უფრო არ ადგება ისეთს გზას, რომელსაც არა სასურველ შედეგამდე მივყევართ. იბადება მთლიანობა მოქმედებისა, რომელიც ჰბადავს ძალას. ამისთანა შემთხვევებში მოქმედების მთლიანობას ჰბადავს არა წინასწარი მოლაპარაკება—შეთანხმება, არამედ შეგნება საერთო მიზნისა და გატაცება ამ საერთო მიზნით.

ჩვენში მრავალია ისეთი დაწესებულება, წმიდა ეროვნული, თუ ნახევრად ოფიციალური, სადაც ეროვნულ საქმეებით დაინტერესებულ ადამიანს შეუძლიან თავისი წვლილი შეიტანოს და ამ საერთო მოქმედების განვითარებას, ინტიმურ კავშირის დამყარებას ხელი შეუწყოს.

საუბედუროდ ჩვენში ასე არ ჰხდება. მაგალითისთვის ცხოვრების ერთს მოვლენას ავიღებთ. ადარავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ქართველებს სამსახურში ძალიან ძნელად იღებენ. წლითი-წლობით აუარებელი ახალგაზდობა ათავებს უმაღლეს სასწავლებელს, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მათთვის გზა დახშულია. სახელმწიფო სამსახურის კარები უმეტეს შემთხვევაში მათთვის დახურულია,ქართული დაწესებულებანი კი ცოტა გვაქვს. ამისთანა პირობებში იმათ, ვინც დღეს ცხოვრების კიბის ზევითა საფეხურზე არიან მოქცეულნი, შეუძლიანთ ამ ახალგაზდებს დიდი სამსახური გაუწიონ, შეგნებული რომ ჰქონდეთ მნიშვნელობა საერთო მოქმედებისა. ნამდვილად კი ჩვენ რასა ვხედავთ? იმას, რომ თვითიეული ამისთანა პირთაგანი მამლაყინწურის მედიდურობით დასცქერის ახალგაზდებს და სხვა და სხვა, ხშირად საეჭვო ღირსების მიზეზებისა გამო, გადამთიელებს უწყობს ხელს მაშინ, როდესაც კარს წინ მთელი ჯარი უნივერსიტეტ გათავებულ ახალგაზდებისა სამუშაოსა თხოულობს. ცხოვრება ამისთანა პატარა მოვლენებისაგან შესდგება. ვინც ამ მოვლენებს ანგარიშს არ უწევს, დიდს საქმესაც ვერ გააკეთებს. თუ საეროვნო საქმეებით დაინტერესებული ახალგაზდობა ჩვენთვის საჭიროა, მაშინ ასეთებს ბინაც უნდა გაუჩინოთ ჩვენს ქვეყანაში...

შინაური.

შავი-ქვის მრეწველთა საბჭო და სამოსწავლო ოლქი.

რაც დრო გადის მით უფრო მწვავდება შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს დამოკიდებულება სამასწავლებლო ოლქთან. ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის კანდიდატის წარდგენა არ დააცადეს და საბჭოს დაუკითხავად დანიშნეს ბ-ნი მამალაძე. 26 ამ თვეს საბჭომ სახალხო სკოლების დირექტორს წარუდგინა სამი კანდიდატი ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის კანდიდატებად და მეორე დღესვე მიახალა დირექტორმა, რომ ერთი თქვენი კანდიდატი სულაძე ჩვენ დავნიშნეთ ოზურგეთსა და მეორე—სულამანიძე კულაშიო და ამიტომ ამათ მაგივრად სხვა წარმოადგინეთო. მესამე კანდიდატი იმით დაიწუნეს, რომ სათანადო მთავრობის მოწმობა არა აქვსო და სხვა.

შავ ქვის მრეწველთა საბჭო ხელს უწყობს სამასწავლებლო ოლქს და თავის ხარჯით ინახავს უშველებელ სასწავლებელს და მადლობის ნაცვლად ბ-ნი დირექტორი და იმაზე დიდი მთავრობა თითქო შეთქმულან მისთვის, რომ ხელი აალებინონ საბჭოს კარგ საქმეზე.

თუ დახურავენ სასწავლებელს, დეე დახურონო, უთქვამს თურმე სახალხო სკოლების დირექტორს, როცა მისთვის უთქვამთ რომ მრეწველნი იმდენად ნაწყენი არიან მზრუნველის განკარგულებით რომ შეიძლება სამოქალაქო სასწავლებელი დახურონო.

აქამდის გვეგონა, რომ დირექციის დანიშნულება ის არის რომ განმანათლებელ დაწესებულებათა არსებობას ხელი შეუწყოს, ნამდვილად-კი გამოდის, რომ სასწავლებლის კარის დაკეტვა სასურველი ყოფილა მისთვის.

კეს.

კარაკლისის მერძეობის კურსების მსმენელთა მოგზაურობა

(დასასრული *)

როგორც ფერმა, აგრედვე საინტერესო სანახავია თვით გრაფი. ხასიათით მეტად მხიარული, გრძელს, მუხლებამდის ლურჯს ხალათში და ტიროლურს, ფასის მაგვარს ქუდში გამოწყობილი, უფრო პურის მცხობელს წააგავს, ვიდრე ფერმერს. საუცხოვოდ გამასპინძლების შემდეგ, გრაფმა დაგვათვალიერებინა ყველის ქარხანა, ყველის თბილი და ცივი სარდაფები, გომები და სხვა და ბოლოს გრაფმა შეგვიყვანა ერთს ოთახში, რომელიც გამოჭედილი იყო ძროხების ზარებით. ეს ზარები გრაფს გამოუწერია შვეიცარიიდან და დასჯდომია 500 მანეთამდე. თითო ზარი წონით თითქმის 10—15 გირვანქა იქნება. გრაფმა ყველა ჩვენთაგანს მოგვცა ხელში ოროლი ზარი, ხოლო თვითონ აიღო ჯერ ერთი დიდი ზარი და კისერზე დაიკიდა, ორი კიდევ ხელში დაიჭირა და შუაში ჩადგა. შემდეგ სიცილ-ხარხარით დაიწყო რეკა და გვანიშნა ჩვენც, რომ ზარების რეკვა დაგვეწყო. ასტყდა საშინელი ხმაურობა. ყურები გამოგვეჭედა და გავჩერდით, მაგრამ გრაფი არა ჩერდებოდა, თვითონ რეკდა ზარებს და ჩვენგანაც დაჟინებით თხოულობდა ამასვე. გრაფმა მხოლოდ მაშინ შესწყვიტა ზარების რეკვა, როცა გული კარგად იჯერა...

საინტერესოა შრომის განაწილება მისი ოჯახის წევრთა შორის. „მეო, დაიწყო გრაფმა,—მთელი ფერმის თავი ვარო, ჩემი სახლობა მეტად კრიჟანგი ადამიანია და ამიტომ ხაზინადრობა მას აბარიაო. ჩემს ვაჟიშვილებს გომურები და ძროხები აბარიათ, ხოლო ორს ქალს—ოჯახის მოვლა და წვრილ-ფეხობაო. ქალებს შვეიცარიიდან მოვგვარე ქრმები—ყველის ოსტატები, რომლებიც თქვენ ყველის ქარხანაში გაიცანითო“. ასე დაგვისურათა გრაფმა თავისი ოჯახური განწყობილება.

თვით გრაფი ყველის ოსტატია და შვეიცარიიდან არის მოყვანილი ბარონ კუჩენბახის მიერ, როდესაც ამ უკანასკნელს პირველად გაუხსნია ყველის ქარხანა ბორჩალოს მაზრაში. რადგანაც ბარონ კუჩენბახს არა სდომნია, რომ შვეიცარიული ყველის ხარშვა გავრცელებულიყო ამიერ კავკასიაში, ამიტომ ყველა შვეიცარიიდგან მოყვანილს ოსტატს თურმე ხელწერილს ართმევდა, რომ იგი უეჭველად მასთან იმუშავებდა და, თუ, ვინიცობაა, აღარ მოისურვებდა ბარონთან მუშაობას, უნდა შვეიცარიაში დაბრუნებულიყო; წინააღმდეგს შემთხვევაში ოსტატს ჯარიმა უნდა გადაეხადნა. გრაფს, რადგანაც აღარ სურვებია შვეიცარიაში დაბრუნება, გადაუხდია ჯარიმა და დარჩენილა აქ, შეუგროვებია ცოტაოდენი ფული და დაუწყია საკუთრივ ყველის ხარშვა და თავისი შრომით და ოფლით შეუძენია დღევანდელი ქონება...

ნახულ გაგონილით დიდათ ნასიამოვნები გრაფის ფერმიდან ჯალალოღლის გზით გავემგზავრენით უკან კარაკლისში.

ნავდარაანთკარელი.

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 690.

ქართული პრეფიქსიანი

სახელზმნების მართებულობა.

როგორც რუსულს, ისე ქართულ სახელზმნას საჭიროების და გვარად თან ახლავს ხოლმე ეს, თუ ის პრეფიქსი, რომელიც აღნიშნავს ხან მოქმედების, ან მდგომარეობის ვითარებას, ხან მათ ურთიერთობას ადგილის გარემოებასთან.

როცა ვიტყვით, **ძაღლი შეიპარა ვენახშიო,** მაშინვე წარმოგვიდგება, ძაღლის მოძრაობის მიმართულება ვენახისკენ, მისი ყოფნა ვენახში, რაცა ჰხატავს სახელზმნის პრეფიქსი **შე.**

როცა ხალხის ფსიხიკა მტკიცეა, სულდგმულობს ბუნებრივად განვითარებულის კულტურით, მაშინ ზმნათა პრეფიქსაცია შეურყეველია და სწარმოებს ისე, როგორც მოითხოვს ენის ბუნება. მაგრამ როცა ერის ბუნებრივი კულტურა შეყენებულია და მის მაგიერ ბატონობს უცხო კულტურისა და ენის ნორმები, მაშინ ადგილობრივი ენა გადაგვარების გზაზე დადგება და აზრის გამოთქმის ღონეს დაესხება გაბატონებულ ენასა. გაბატონებული ენის ზმნის პრეფიქსი გადმოსკუპდება ხოლმე დამონებული ენის ფსიხიკაში და სცდილობს, აზრი თავისებურად გამოათქმევინოს. მაგალითად რუსული **დოპუსკატ** ზმნისა ქართველი ნასწავლ-კაცის ლაპარაკში ითარგმნა მხოლოდ **პუსკატ**, მისი პრეფიქსი კი უთარგმნელი დარჩა და მისი მსგავსი ამოიქნა ქართულს ენაში.

ამ გვარად გაჩნდა **დაშვება**, რომელიც ვითომც უნდა ჰხატავდეს რუსულ **დოპუსკატ** ზმნასა, ვითომც რუსული პრეფიქსი **დო** და ქართული **და** ერთნაირი უნდა იყვეს მნიშვნელობითა. რა შეცდომაა! თუმცა პრეფიქსები რუსული **დო** და ქართული **და** გამოთქმით ცოტად ჩამოჰგავს ერთმანერთსა, აზრით მაინც ორნივე სხვა და სხვანი არიან.

ეხლა რომ ავიღოთ **დაშვება** და ვსთარგმნოთ რუსულად, უნდა ვიპოვოთ რუსულ ენაში ისეთი სიტყვა და ისე წარმოებული, რომ დაშვებას უდრიდეს შინაარსითა. დაშვება ძირს დაწევას, დამდაბლებას ჰნიშნავს, მაშასადამე მისი თარგმანი უნდა იყვეს **ოპუსკატ.** აქ არა თუ სიტყვა ითარგმნა, არამედ მისი პრეფიქსიც. ასევე უნდა მოვექცეთ **დოპუსკატ** ზმნასა, გაუშინჯოთ მნიშვნელობა და ისე უპოოთ თარგმანი ქართულ ენაში. **დოპუსკატ** იგულისხმებს ისეთ მოქმედებას, რომელიც მიემართება რისკენმე, რასთანმე, რაზედმე. მაშასადამე მისი თარგმანი იქმნება **მიშვება**, რომლისაცა **მი** სწორედ იმასვე ჰხატავს, რასაც რუსული **დო.**

მაგრამ გავლენა გაბატონებული ენისა უფრო ძლიერია, როცა ზმნის პრეფიქსს, ხან თვით ზმნას გავლენა აქვს ადგილის გარემოებაზე, მის ვითარებაზე. მაგალითად ავიღოთ წინადადება რუსული **ივან ურონილ კნიგუ იზ რუკ** და ქართული **ივანეს ხელში გაუვარდა წიგნი.** რა საკვირველია, მდგომარეობა წიგნისა ორთავე წინადადებაში უფრო ერთნაირი იქნება, თუ რუსული წინადადება დაუახლოვეთ ქართულსა და ვსთქვით **უ ივანა ვიპალა კნიგა იზ რუკ.** რუსულ ფრაზებში ორგანვე ზმნა მიუმართველი სახის არის, როგორც მოითხოვს ბუნება რუსულის ენისა, სუბიექტი კი, რომელიც მოქმედებს ან რაიმე დაჰმართნია, არის, პირველში **ივან**, როგორც სიტყვის უფალი, ხოლო მეორეში **უ ივანა**, როგორც მაჩვენებელი დამატებისა, ქართულ ფრაზაში კი ზმნა წინააღმდეგი ბუნების არის. რაც რუსულმა ენამ მოქმედებით და მიუმართველის სახით გამოჰხატა, ქართულმა ენამ იმისთვის მდგომარეობითი ზმნა ირჩია და მისცა ისეთი სახე მის ცვლილებას, რომ წიგნის დავარდნა თავს მოახვია ივანეს, როგორც მდგომარეობაში მყოფს, რომელსაც რამე დაჰმართნია, გარემოება ადგილისა კი უცვლელად დასტოვა, თითქოს ელლიპსისი მომხდარიყვეს. სრულად შეიძლებოდა ასეთი სახე მიეღო წინადადებას **ივანეს წიგნი გაუვარდა, ხელში რო ჰქონდა.** ამგვარ სიტყვის თხზულებას მოითხოვს აგრედვე ზოგიერთი პრეფიქსი: **გამო,** აღმო (ამო), **წარ** (წა), **გარ,** **და** (გადა). იტყვიან, მაგალითად-**სათუოში გამოვიდა, პირში სული ამოხდა, ცხვირში სისხლი წასკდა, კლდეზე გადავარდა.** რუსული ენა ადგილის გარემოებას დიდ ყურადღებას აქცევს და ხმარობს ამ შემთხვევაში **იზ, სო** და **ოტ** თანადებულებს, რათა გარემოების ადგილი იყვეს, როგორც ერთი რამ ცენტრი, რომელსაც საგანი ელტვის. ქართულში კი ადგილის გარემოება უცვლელი რჩება და მოქმედების, ან მდგომარეობის ვითარების გამოსახატავად ეს, თუ ის პრეფიქსი დაერთვის ზმნასა. როცა ვიტყვით, **ქათამმა თავი გამოჰყო გალიაშიო,** თავის მდგომარეობას გამოვხატავთ **გამო** პრეფიქსით, ადგილის გარემოებას კი უცვლელად დავსტოვებთ. ამავე ხასიათის არის გამოთქმა **თავზე ხელი აიღო, რჯულზე გადადგა.**

ქართული სინტაქსისი კი არ უნდა გადავაგვაროთ, არამედ უნდა ვეცადნეთ, მისი ბუნება შეურყვნელად დავიცვათ. აზრი იმდენად ძლიერია, რამდენადაც ჩამოსხმულია ბუნებრივ ყალიბზე.

ბარბარიზმებს, ანუ სხვაგნებურად აზრის გამოთქმას ვერც ძველი მწერლობა ასცდა, განსაკუთრებით მთაწმინდელ მოღვაწეთა პერიოდში (XI საუკ.) წმ. ექვთიმე და წმ. გიორგი მთაწმინდელები როცა წინა საუკუნეთა მოღვაწეების ნათარგმნ საღმრთო წერილს ასწორებდნენ ბერძნულთან შედარებით, სინამდვილის დასაცავად ზოგჯერ სიტყვა-სიტყვად სთარგმნიდნენ დედანსა, რაიც, რასაკვირველია, მოუხერხებელია. ქართული სუპინი, **ად** სუფიქსით დაბოლოებული, მოითხოვს დამატებას, ნათესაობითი ბრუნვით გამოთქმულსა, მაგ. **დაჯდა წერად ანდერძისაო,** ნათქვამია „ვეფხის ტყაოსანში“. წმინდა მამებს კი უთარგმნიათ ბერძნული ტექსტის ინფინიტივი სუპინად, მაგ., **ოდეს იწყო მეფობად** (მეფე. წ. დ., XI, 21), ის დამატება კი, ანუ აკუზატივი, რომელიც ინფინიტივზე ჰკიდია, როგორც ზმნაზე, გამოუხატავთ სახელობით ბრუნვად, მაგ., **და განიზრახეს მღვდელთა არა მიღებად ვეცხლი ერთაგან** (იქ., XII, 8) მეთვრამეტე საუკუნის პოეზიაც ვერ ასცდა ბარბარიზმსა. ბესიკს უთქვამს, **მსურდა მოკრეფად ვარდის კონებიო**

რა საკვირველია, საკითხი, რომელიც კი შეიძლება წამოვაყენოთ, არის: იწყო რა? **მეფობა.** განიზრახეს რა? **არა მიღება.** არა მიღება რისა? **ვეცხლისა.** მსურდა რა? **მოკრეფა.** მოკრეფა რისა? **ვარდის კონებისა.**

პრეფიქსს სახელზმნისთვის, მისი ვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. არც ჩვენზეა დამოკიდებული მისი წარამარა ხმარება. ხალხის ფსიხიკას თავითგანვე განუსაზღვრავს ეს, თუ ის პრეფიქსი, ზმნების არსებობისათვის, ამიტომ მათი დაგმობა დიდი ცოდვაა. ამის ჩამდენი მწერალი არა თუ მკრეხელი, თავის მკვლელიც არის. თუ თავი მოუკვეთია ხმნებისთვის, არც თავისი აზროვნებისთვის დაუყრია სიკეთე. მაგალითად ავიღოთ სახელზმნები **ხება, ხლება, სხმა** და **კვეთა.**

განვიხილოთ. პირველი ორი ზმნა ნიშნავს ხელის მოკიდებას; მათი მონათესავეა აგრეთვე **ხილვა**, პირვანდელი **ხელვა**, რაიც ნიშნავს დღეს ხედვას, როგორც **ყურება**—ცქერას, **სმენა**—შეგნებას. მათ შორის იხმარება **ხლება** უპრეფიქსოდ (**ვახლებ, ვახელ** და სხვა), **ხება** პრეფიქსითაც (**ვეხები, ვეხებოდი, შევეხები, შევეხებოდი, შევეხე** და სხვ.). ეხლა სამივე, როგორც სახელ ზმნა, მოითხოვს დამატებას, ნათესაობითი ბრუნვით გამოთქმულსა, მაგრამ **ხება** მეორე სიტყვასთან ერთად არ იხმარება. უნდა ყოფილიყო, ვთქვათ, **ხელის ხება,** მაგრამ მის მაგიერ ითქმის **ხელის ხლება,** აქითგან **ხელს ვახლებ, ხელის შეხება, ხელს შევახებ.** მაშასადამე **ხელხება, ხელშეხება** დამახინჯებული ფორმებია და ვეჭვობთ, ძველ მწერლობაში იყვეს, ხოლო თუ ვისმე ბიზანტიელ მწერალს უხმარია, უნდა ვიფიქროთ, მასთანვე მომკვდარა, რათგანაც ხალხში არ მოიპოვება არც ხელოვანი მწერლები ჰხმარობენ.

სხმა სახელზმნისაგან წარმოებული და უპრეფიქსოდ იხმარება **თავსხმა** და **რუსხმული. სხმულობა კი** ისიც **ხელსახები** მტკნარი უაზრობაა. ითქმის **შესხმულობა ხორცისა, ხორც შესხმულობა, ხორცი შეისხაო.** უცვლილება როგორც უპრეფიქსო, ისე პრეფიქსიანი სრული აქვს (**ვსხამ, ვასხამ, ვისხამ, უსხამ, ვესხმი**). მისი პრეფიქსებია **წა, მო, და, შე, გამო** და სხვა.

კვეთა ნიშნავს მხოლოდ ჭრას. ითქმის **კვეთა** როგორც ნაწილი წირვისა, როცა მღვდელი სეფისკვერს ლახვრით ამოალის პატარ-პატარა ნაკვეთებს წმ. ზიარებისათვის. ითქმის აგრეთვე **თავის კვეთა** იოანე ნათლის მცემლისა. სხვა შემთხვევისათვის დაერთვის პრეფიქსები **შე, მო, წარ** და სხვა.

თუ ხსენებული წესების დარღვევით ლაპარაკში მსმენელთა ყურნი დავალდებიან, მწერლობაში მათი დარღვევა ხომ [illegible]

საჯაროდ ლაპარაკი და საჯაროდ წერა ორატორისა [illegible] მოითხოვს ყველასათვის გასაგებ მეტყველებას, განვითარებულს და შეხამებულ-შეზავებულს ჩინებულ ქართველ კლასიკოსთა ენითა, რომლის სწავლაც მისთვის. ფრიად და ფრიად საჭირო და სავალდებულოა.

საკლასიკო ქართულ მწერლობას საფილოსოფიო კვლევის დროც ჰქონია, მაგრამ არც ერთ ქართველ მეცნიერს, არც ერთ სხვა ქართველ მწერალს ქართული სახელზმნებისთვის პრეფიქსები არ წარუკვეთია, უღლვილების და სიტყვათა თხზვის წესები არ დაუგმია.

მეტადრე სიფრთხილე გვმართებს, დღევანდელ დღეს, როცა ქართულ მეცნიერებას სკოლა არ მოეპოვება, უშნო და უცნაური ნალაპარაკევ-ნაწერთ საზოგადოებას არაფერი მივაწოდოთ, თუნდა მისი შინაარსი იყვეს სიბრძნე არისტოტელისა.

პეტრე მირიანაშვილი.

მოწერილი ამბები

ბორჩალოს მხარე. მთელ ბორჩალოს საბოქაულოში ქართველებით დასახლებული ორი სოფელი და არის: ს. ზემო-წერაქვი და ს. სიონი. ოდესღაც ეს საქართველოს კუთხე მჭიდროდ იყო დასახლებული ქართველებით, დღეს კი მათ ნაოხარზე მოუკალათნიათ: სომხებს, ბერძნებს და სხვებს.

ეს ორი სოფელი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რადგან ამათზე სამხრეთით ქართველებით დასახლებული სოფლები არ არის ბორჩალოს მაზრაში. აქ კაცს ეს ორი სოფელი ღა მოაგონებს, რომ ეს კუთხე საქართველოს ნაწილია. ამიტომ უნდა ვეცადნეთ ამ სოფლის მკვიდრთა ამაღლებას, როგორც გონებრივად ისე ნივთიერად.

ს. ზემო-წერაქვის მცხოვრებთა რიცხვი 30 კომლია (167 სულამდე). მამული, რომელიც მათ უჭირავთ, ეკუთვნის ცნობილ მილიონერს ა. მანთაშევს. როცა ეს მამული მანთაშევს ქართველ თავადიშვილისაგან შეუძენია, აქაური ქართველების აყრა მოუსურვებიათ, მაგრამ, მათ საბედნიეროდ ნადელები ამოსჩენიათ და აყრა ვეღარ მოხერხებულა.

უმთავრესი შემოსავლის წყარო აქაურებისა ხვნა-თესვა და საქონლის მოშენება არის.

შინ და გარედ ხშირად თათრულად ლაპარაკობენ. მღვდელი ბერძენი ჰყავთ, რომელიც ბერძნებით დასახლებულს ს. ოფრეთში სცხოვრობს.

ს. სიონი მდებარეობს მდინარე შულავრის პირად 5 ვერსის მანძილზედ ს. შულავრიდამ. მცხოვრებთა რიცხვი 25 კომლია (121 სულამდე, ამათში 4 კომლი სომეხია). სულ 20 წელიწადია რაც აქ გადმოსახლებულან ს. ქვემო-წერაქვიდან, რადგან მემამულე ენიკოლოფოვს შეუწუხებია (ქვემო-წერაქვში თათრები სახლობენ). ადგილ-მამული რომელიც სიონელთ ეჭირათ სახაზინოა; მშვენიერი მდებარეობა აქვს, რადგან ზაფხულობით ს. შულავერში ძალიან ცხელა აქაურნი საავარაკოთ სიონში მოდიან. ხვნა-თესვის გარდა სიონელები მევენახეობასაც მისდევენ, აქაური ყურძენი ბაზარში შულავრის სახელით საღდება.

როგორც წერაქველები ისე სიონელები გონებრივად და ქონებრივად ჩამორჩენილი ხალხია.

ეს ორივე სოფელი საჭიროობს ქართულ სკოლას; წ. კ. საზოგადოების გამგეობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ორ სოფელს და დაარსოს მათში სკოლა სოფლების დახმარებით. უეჭველია ამ კეთილ საქმეში წ. კ. საზოგადოებას დაეხმარება მატერიალურად ბაქოში მცხოვრები კომერსანტი ა. ბოსტაგანიშვილი რომელიც ს. სიონელია.

ნ—კო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

4 ენკენისთვე.

საზღვარ-გარედ

ზღვის ღელვა.

პენსაკოლი. ფლორიდის ნაპირებზე ზღვის ღელვამ გამორიყა ამერიკის სამხედრო გემი „პენროზი“ და რამდენიმე დიდი გემი.

კრეისერის გარიყვა.

ლონდონი. „ლოიდის სააგენტოს“ პორტსაიდიდან აუწყებენ, სუეცის არხში გაირიყა ინგლისის კრეისერი „ტალბოტიო“.

ყოველ ეჭვს გარეშე, რომ ავსტრალიაშიაც და აფრიკაშიც თავის თავადაც განვითარდებოდა კაპიტალისტური წარმოება, მაგრამ ბუნებრივის გზით ამ საქმის შესრულება მას დიდი ხანით დააგვიანდებოდა. მსხვილმა კაპიტალმა კი სწრაფად იმუშავა, მან რევოლიუციონური როლი ითამაშა ახალ-შენების მიყრუებულ და პირველყოფილ ცხოვრებაში და ის, რაც უნდა მომხდარიყო საუკუნოების განმავლობაში, განხორციელდა სულ რაღაც ათ წელიწადში.

საქართველოში უცხოეთის კაპიტალი კაი ხანია შემოვიდა. გაიხედეთ, დააკვირდით ჩვენს ყოველ ქალაქის მსხვილ სამრეწველოებს და ამ კაპიტალის ტრიალს აუცილებლად შეამჩნევთ. აიღეთ 1902 წელში გამოცემული სტატისტიკურ ცნობათა კრებული და თვალი გადაავლეთ სამრეწველო დაწესებულებებს, მათ პატრონებს და თქვენ დაინახავთ უცხოეთის კაპიტალის მოძრაობასაც.

მაგრამ კაპიტალი ჩვენში **სათანადოდ** მაინც არ არის შემოსული. მრავალი საქმეებია გასაკეთებელი და არ არის კაპიტალი, არ არის ინიციატივა, რომ მომწიფებული მოთხოვნილებანი დაკმაყოფილდეს.

დააკვირდით ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას—წარსულსაც და აწმყოსაც. ჩვენი ხალხი, წინად, როდესაც კაპიტალიზმის აჩრდილიც არ არსებობდა ჩვენს ქვეყანაში, სათანადოდ ეწეოდა სამრეწველო შრომას. ყოველგვარი მოთხოვნილება ადგილობრივ კმაყოფილდებოდა. ჩვენი ხალხი ამიტომ გამოდიოდა არა მარტო მხვნელ-მთესველად, არა, ის ართავდა ძაფს, ძახავდა, ქსოვდა, ახურებდა ქურას, აღნობდა, სჭედდა ფოლადს, რკინას და ყოველგვარ მადნეულს. ჩვენ ხალხი ყოველგვარ სამრეწველო საქმეს ასრულებდა. ყველა ამას ის თავის ხელებით აკეთებდა, ამიტომ ამ მუშაობას **ხელოვნურ-ნატურალური** ხასიათი ჰქონდა. მაგრამ დღეს კი საქმე სხვანაირად შეიცვალა. დამყარდა ახალი საწარმოვო წესები. საქართველოშიაც შემოიჭრა უცხოეთის კაპიტალი, კაპიტალიზმი, გაჩაღდა ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, მიმოსვლა, ტრანსპორტი, დამოკიდებულება. შემოვიდა მანქანების საშუალებით გადამუშავებული ნაწარმოებნი, საჭირონი ჩვენი ხალხისათვის. ეს ნაწარმოებნი შედარებით იაფად ფასობდა, სუფთა იყო ლამაზი, ახალი გემოვნების შესაფერი. ჩვენი ხალხიც იძულებული გახდა ხელოვნურ-ნატურალურ მრეწველობისთვის თავი დაენებებინა და საქარხნო წარმოებას დასწაფებოდა. მართლაც, დღეს ჩვენი ხალხი სრულიად აღარ ეწევა გადამუშავებულ მრეწველობას. თითქმის ყოვლად უბრალო საჭირო მასალა რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა გვაქვს. ჩვენი ხალხი აღარა ჰქსოვს, არ ართავს და სხ. ჩვენ სხვა რამეში ვეწევით შრომას. ასეთი განწყობილება მოასწავებს შრომის განაწილებას და ძალის მეტ ნაყოფიერებას. მაგრამ ასეთი დასკვნა ჩვენს ცხოვრებას არ შეეფერება. მართალია ერთიანად სოფლის მეურნეობას მივეყრდენით, მაგრამ ამ მეურნეობაშიც ვერავითარი ცვლილება ვერ შევიტანეთ, ხოლო უცხოეთის კაპიტალიზმის საშუალებით სამრეწველო შრომიდან განთავისუფლებული ხალხი მეტბარგად გარდაიქცა, გახდნენ პარაზიტები და მით შეითვისეს ჩვენი მწარმოებელ ძალების წინსვლისა და განვითარების საქმე.

ამიტომ ჩვენი ქვეყნის აღდგენა დღეს მხოლოდ სამრეწველო შრომის განვითარებითაა შესაძლებელი. მრეწველობა ჩვენშიაც იხეირებს. განა სასაცილოც არ არის, რომ ჩვენ რძიდან კარაქსაც ვერ ვაკეთებთ, ერბოსა, ყველსა? ხილეებიდან კონსერვებს? განა სასაცილო არ არის, რომ ყველა ეს სხვა ქვეყნებიდან შემოგვაქვს?

ამიტომ საჭიროა ჩვენში მრეწველობის განვითარება.

კაპიტალის სათანადოდ შემოსვლა ჩვენში შეასრულებს ნამდვილ რევოლუციონურ როლს. ეს კაპიტალი უმალ მსხვილ მრეწველობაში გამოიწვევს საშინაო კაპიტალის დაგროვებასაც. რამდენი სარგებელიც უნდა გაიტანოს ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთის კაპიტალმა, რა რიგ სასტიკ ფორმაშიაც უნდა გამოიხატოს მისი მძლეთა-მძლეობა, ფაქტია, კაპიტალი კაპიტალსა ჰშობს, ორთავე კი აუცილებლად იწვევს ეკონომიურ ცხოვრების გაძლიერებას და საერთოდ მწარმოებელ ძალთა განვითარებას. ამას მოჰყვება მრეწველობის სხვა და სხვა დარგის აყვავება, ტეხნიკის, ელექტრონის, გაზის გამოყენება, გავრცელება. დღეს თუ ყველაფერი შემოგვაქვს, საარსებო მასალებიც კი, მრეწველობის განვითარებით, რაც საჭიროა, იმას ადგილობრივ შევქმნით, ზედ-მეტს უცხოეთის ბაზარზე გავიტანთ და იქ გამოვალთ ძლიერთა შორის.

მაგრამ ეს რომ სათანადოდ შესრულდეს, მარტო უცხოეთის კაპიტალი არა კმარა. უცხოეთის კაპიტალი ყოველივე ამას აჩქარებს, ხელს უწყობს, მაგრამ ამავე დროს სოციალური წეს-წყობილება ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ფისკის სამსხვერპლოზე არ დაინთქეს საშინაო კაპიტალის დაგროვების საქმე. სოციალური წყობილება ხელს უნდა უშლიდეს მწარმოებელ ძალებს, ის უნდა ათავისუფლებდეს მხარეს იმ დაბრკოლებებიდან, რომელიც ცხოვრებაში ხვდება მხარის ეკონომიურ განვითარებას.

ამიტომ დიდი ყურადღება უნდა ექცეს მიქცეული სოციალურ ცხოვრების საკითხებს.

დავასკვნათ. უცხოეთის კაპიტალის შემოსვლა ჩვენში თამაშობს პროგრესიულ როლს. ის ანვითარებს მხარის მწარმოებელ ძალებს, მრეწველობას, მეურნეობას და ამყარებს სამოქალაქო წესებს. აგრედვე ის აუცილებლად, თავის ძალის მიხედვით, შემოდის ჩვენს მხარეში. რაც უნდა ვიყვიროთ მის წინააღმდეგ—ვერაფერს გავხდებით. მისი ძალა კაპიტალიზმის ძალაშია დამარხული. შეგნებული მონაწილეობის მიღება სხვა და სხვა წვრილ მოვლენებში რა თქმა უნდა სასურველია. იმაზე ღაღადისი, რომ უცხოეთის კაპიტალის შემოსვლით დაიღუპება ჩვენი ერის მიწაწყალი, ტერიტორია — უსაფუძვლო შეხედულებაა.

თევდ. ღლონტი.

სერბიელები.

მიტროვიცა. სერბიელები დაბრუნდნენ აოხრებულ და აწიოკებულ სოფლებში. მთავრობამ კარავები დაურიგა და საზოგადოდ ეხმარება ხალხსა. ჩერნოგორია ეუბნება ხალხს, უეჭველად ავანაზღაურებინებთ ოსმალეთს თქვენს ზარალსაო.

ოსმალეთი და იტალია.

სტამბოლი. ნამდვილ წყაროებიდან იუწყებიან, იტალიამ მოლაპარაკების დროს მოსთხოვა პორტას ლივიის დამოუკიდებლობა აღეარებინა: მაშინ იტალია თითონ მოურიგდებოდა მკვიდრ მცხოვრებთაო. ამბობენ, პორტა ვერ დასთანხმებია იტალიასაო. ოტომანთა დელეგატები ლოზანიდან წამოსულან.

მეფესთან ნალაპარაკევი.

ბერლინი. „მორგენ-პოსტის“ კორესპოდენტს ცეტინიეში მეფე ნიკოლოზთან უსაუბრნია. მეფე ძალიან დაღონებული ყოფილა და მომავლის იმედიც დაჰკარგვია. ოსმალეთის არეულობამ და ჩერნოგორიის საზღვრების ხშირმა გადმოლახვამ შეიძლება ისე დაატრიალოს საქმე, შეუძლებლად გახდეს საქმის გამობრუნებაო.

მექსიკო.

მექსიკო. წუხელის დემონსტრანტები ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და მადეროს სტვენა აუტეხეს. ნაპრეზიდენტალ დიაცს სიხარულითა და ვაშას ძახილით ეგებებოდნენ. დამოუკიდებლობის დღესასწაულის დროს შეიძლება არეულობა მოჰხდეს რამე.

სანოვაგის სიძვირე.

შტუტგარტი. სოციალისტებმა სანოვაგის გაძვირების საწინააღმდეგოდ 23 ყრილობა გაჰმართეს. თათბირს შემდეგ, ყრილობის მონაწილეები ქალაქის ქუჩებში გაიფანტნენ, მარსელიოზას მღეროდნენ და სასახლის მოედანზე შეგროვდნენ.

მულაი-ჰაფიდი.

მარსელი. გემ „მონგოლეთით“ მულაი-ჰაფიდი ჯიბრალტარს წავიდა.

მაროკო.

პარიზი. მაგადორში მყოფი საფრანგეთის ელჩი იუწყება, ხალხს თავზარი დასცა ჩვენ მიერ მარაკეშის აღებისა და ტახტის მაძიებლის გაქცევის ამბავმაო. ელზიხს ძალიან გასტეხია სახელი

ნავის დაღუპვა.

ჩიკაგო. ღელვის დროს, მიჩიგანის ტბაზე სავარჯიშო ნავი გადაბრუნდა. 11 მეზღვაური დაღუპულა, 13 გადარჩენილა.

სალარ-უდ-დოულე.

თეირანი. სალარ-უდ-დოულეს დატყვევების ამბავი მტკნარი სიცრუეა. ეტყობა იარ-მოჰამედი სალარს უნდა დაეხმაროსო.

საპეხდარი.

თავრიზი. საპეხდარმა თავის ამალით პირველად ინახულა რაზმის უფროსი და კონსულები.

ჩინეთი.

პეკინი. საეროვნო ყრილობამ დაამტკიცა გარეშე საქმეთა მინისტრად პრეზიდენტის მიერ არჩეული ლიანუხაო.

ურგა. ნაინთუვანი, იუანშიკაიმ ულისუთაის ძიანძინად რომ დანიშნა, ხუტუხტას სწერს: რამდენსამე მოხელით შენთან ჩამოსვლას ვაპირებ, უნდა მონგოლეთის საზოგადო მდგომარეობის თაობაზე მოგელაპარაკოო. ჯერ არ იციან, ხუტუხტას რა უპასუხნია.

ჩეხელ-გერმანელნი.

პრაგა. ჩეხელმა და გერმანელმა მასწავლებლებმა დაადგინეს ჩეხელ-გერმანელთა კავშირი იქადაგონ და დაარსონ კიდეც შემთანხმებელი რამ. მასწავლებლებს იმედი ჰქონიათ, სეიმის სხდომების დაწყების შემდეგ, ჩვენი მდგომარეობა გაგვიუმჯობესდებაო.

ინდოეთის ჯარის ამბოხი.

კანტონი. ქალაქის უცხოელთა ნაწილის დამცველ ინდოელთა ჯარი აჯანყდა, ერთი ინდოელი აფიცერი მოუკლავთ. ჯარი გონკონგს გაიწვიეს და მაგივრად ახალი ჩააყენეს.

ოსმალეთ-იტალიის ომი.

დერნა. გენერალმა რაიზულმა დიდის ბრძოლის შემდეგ დაამარცხა ოსმალნი და დაიჭირა ძლიერი პოზიცია კასრელლებონისა. იტალიელებისათვის 3 კაცი მოუკლავთ, 10 დაუჭრიათ.

ოსმალეთი.

სტამბოლი. სტამბოლში, მიწის თხრის დროს, ძველი, ბიზანტიური ეკლესია აღმოაჩინეს.

მინისტრთა საბჭოს გადაუწყვეტია სტამბოლში სამხედრო წესები გააუქმოს.

მთავრობა, იუწყება იმ რეფორმებს, რასაც ალბანელებში განვახორციელებთ, ევროპისა და აზიის პროვინციებშიაც შემოვიღებთო.

ამ ბოლო დროებში მუთესარიფებად სხვა და სხვა ადგილას 5 სომეხი და 2 ბერძენი დაუნიშნავთ.

რუსეთი

გაზეთის დაჭერა.

პეტერბურგი. დაიჭირეს „ნევსკაია ზვეზდის“ ოცდა მეოთხე ნომერი.

წყალდიდობა.

კისლოვოდსკი. ნიაღვარმა მთლად წალეკა ქუჩები და ნარზანის წყარო. ბევრი საქონელი დაღუპულა. წყალი ზოგგან სახლში შევარდნილა. წყლის მილები გაფუჭებულა. ქალაქი უწყალოდ არის. ზარალი დიდია.

საჰიდრო-ელექტრონო სადგური.

პეტერბურგი. უმაღლესად დამტკიცდა სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტის გადაწყვეტილება: მიეცეს ინგლისელ სტუარტს კავკასიაში, გოქჩას ახლო მიწები, საჰიდრო-ელექტრონო სადგურების მოსაწყობად.

არჩევნები.

პეტერბურგი. „ცნობათა მიმცემი ბიურო“ გადაჭრით უარჰყოფს მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმებს, ვითომც შინაგან საქმეთა სამინისტროს გუბერნატორებისათვის დაეგზავნოს განკარგულებანი საარჩევნო წინასწარ ყრილობების თვალ-ყურის დევნების გამო: ამის მსგავსი არა ყოფილა რაო.

უცხოეთი

ბელგიის სოციალისტების ბრძოლა საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის.

დიდი ხანია, რაც ბელგიის სოციალისტური პარტია შეუფერხებლად იბრძვის საყოველთაო საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად. წრევანდელ კონგრესზე საბოლოოდ გადასწყდა, იბრძოლონ „ყოველი საშუალებით“ ხსენებული მიზნის განსახორციელებლად. დასახული ბრძოლა ჯერ ხანად პარლამენტარული აგიტაციით უნდა გამოიხატოს, მაგრამ თუ ლიბერალები და კლერიკალები, რომელნიც უმრავლესობას შეადგენენ პარლამენტში, გაჯიუტდებიან და არ დასთანხმდებიან საარჩევნო კანონის მშვიდობიანი გზით გადასინჯვას, მაშინ სოციალისტები უკანასკნელ ღონისძიებას—საერთო გაფიცვას—მიმართვენ. ამიტომ ბელგიის სოციალისტური პარტია დიდი ენერგიით ემზადება: ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში აარსებენ საგანგებო კომიტეტებს, რომლებიც საჭირო აგიტაციას გასწევენ ამრჩევლებთა შორის და ამასთანავე მუშებსაც შეამზადებენ მოსალოდნელ საერთო გაფიცვისათვის. ლიბერალები თითქოს გრძნობენ სოციალისტების მოთხოვნის სამართლიანობას და მზად არიან მხარი დაუჭირონ მათ მხოლოდ იმ პირობით კი თუ ბრძოლა პარლამენტარულ ნიადაგს არ გასცილდება და რევოლუციონურ ხასიათს არ მიიღებს, ასეთია საზოგადოდ აზრი ლიბერალური პარტიისა, როგორც მთლიანი პოლიტიკური ორგანიზაციისა, მაგრამ არის მეორე მიმდინარეობაც მათში, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია მეტი დაახლოება სოციალისტებთან და სურს გადასინჯოს პარტიის შეხედულება საერთო გაფიცვის შესახებ. ამ მიმართულების წარმომადგენლები მოითხოვენ პარტიული კონგრესის მოწვევას, სადაც განხილული უნდა იქმნეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცევა ლიბერალური პარტია სოციალისტების მიერ განზრახულ საერთო გაფიცვის დროს. ასეთი კონგრესის მოწვევას მხოლოდ ის მოსაზრება აფერხებს, რომ ვაი თუ იმ გვარი მწვავე საკითხის გარჩევამ, როგორიცაა საერთო გაფიცვისადმი დამოკიდებულების გამორკვევა, განხეთქილება მოახდინოს პარტიაშიო. ასეა, თუ ის სოციალისტური პარტიის მიერ განზრახული საერთო გაფიცვის შესაძლებლობას ყველა პარტია უწევს ანგარიშს. თვით კლერიკალების შორისაც გაისმის ხმა, რომ დღევანდელ პირობებში მოუხერხებელია შეურიგებლობის პოლიტიკის წარმოება და რომ კათოლიკენი მზად არიან საარჩევნო რეფორმის შემოღების სადასტუროდ, მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით კი, თუ ასეთი უფლება ქალებსაც მიენიჭება, რადგან, კლერიკალების აზრით, ბელგიელ ქალთა უმეტესობა მათ მისცემს ხმას. ასეთია დღეს დღეობით ბელგიის პოლიტიკური პარტიების ძალთა განწყობილება, რომელთაც ამ შემოდგომაზე მართლაც გაცხარებული ბრძოლა დასჭირდებათ ხსენებული საკითხის—საყოველთაო საარჩევნო უფლების—ასე, თუ ისე გადასაწყვეტად.

ბრიტანიის იმპერია და ფედერაციის პრინციპი.

ბრიტანიის ასოციაციის ერთ-ერთ სხდომაზე ფოსტის მინისტრმა გერბერტ სამუელმა დიდად მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც ფედერალისტურ პრინციპსა და ბრიტანია სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მის განმტკიცებას შეეხებოდა. სამუელის აზრით, იმპერიის პოლიტიკურ ორგანიზაციაში შინაგანი წინააღმდეგობა იმალება: იმ დროს, როდესაც შეერთებული სამეფოს კონსტიტუცია მეტად ცენტრალისტურია, მთელი იმპერიის კონსტიტუციაში წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ. შეერთებულ სამეფოში სასამართლოს უფლება სავსებით დეცენტრალისტურია, აღმასრულებელი ძალა—არა სრულიად, ხოლო საკანონმდებლო კი ცენტრალისტური. ასეთი მდგომარეობა ბევრს უხერხულობას იწვევს. ერთი მხრით, ცენტრალისტური პარლამენტი დატვირთულია ადგილობრივი ხასიათის საკითხებით, ხოლო მეორე მხრით, თან და თან იზრდება ცენტრალისტური პრინციპისკენ მიმართული უკმაყოფილება, ძლიერდება ავტონომიის საჭიროების მოთხოვნილება. ახალშენების ზღაპრული სისწრაფით მოზარდი მცხოვრებნი მოკლებული არიან ქვეყნის მართველობაში მონაწილეობის მიღებას. სრულიად შეუძლებელია, რომ იმპერიის კონსტიტუციის განვითარება უკვე არსებულ წერტილზე შეჩერდეს. ამიტომ საკვირველიც არ იქნება თუ იმპერიის მომავალი ცენტრალიზაცია ფედერალიზმის ტიპით მოხდეს, ასე რომ ფედერალიზმის პრინციპის აუცილებლობა თანაბრად საგულისხმოა როგორც მეტად ცენტრალისტური შერთებული სამეფოსათვის, ისე მთელი ბრიტანიის იმპერიისათვის.

თეატრი და ხელოვნებ

სახალხო სახლი. კვირას, ორ სექტემბერს, ქართულმა დრამატიულმა წრემ სეზონი გახსნა, დადგეს ცნობილი ერთ მოქმედებიანი დრამა „მადაროს უფროსი მუშა“ და ა. ცაგარლის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“. რადგანაც ორივე პიესას ჩვენი საზოგადოება უკვე იცნობს, ამიტომ იმათ გარჩევას აქ არ შევუდგები, ვიტყვი მხოლოდ, რომ წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა. აშკარა იყო, რომ იქ, კულისებში, კვლავ ტრიალებდა ნიჭიერი ხელმძღვანელის სული.

მოთამაშეთაგან თავი ისახელეს: ნ. გოცირიძემ (ის ორივე პიესაში შეუდარებელი იყო). ა. იმედაშვილმა, რომელმაც ფრიად ნიჭიერათ შეასრულა ახალგაზრდა ინჟინერ პოლის როლი. ჭანკვეტაძემ, ქიაურელმა, ცაცა ამირაჯიბმა, ილია ზურაბიშვილმა და რომანიშვილმა, დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა.

წარმოდგენის დროს ვიღაცეები თავიანთი წარა-მარა წამოყვირებით თავს გვაბეზრებენ ხოლმე და სასურველია ამ გარემოებას მიექცეს შესაფერი ყურადღება, ვისგანაც ჯერარს, თორემ მალე ეს ვაჟბატონები თეატრში სიარულს შეგვიძულებენ კაცს.

რ.

სოფ. ქარელი. კვირას, 26 მარიამობისთვეს, ბ-ნნთ: პავ. ფრანგიშვილისა და გ. ციციშვილის თაოსნობით ადგილობრივ უფასო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ წარმოადგინეს „და-ძმა“. წარმოდგენამ საერთოდ კარგად ჩაიარა. იყო დეფექტებიც, მაგრამ ეს ეპატიება სცენის მოყვარეთ, მით უმეტეს სოფლად. კარგი გაიოზი იყო ბ-ნი პავ. ფრანგიშვილი. მარინეს როლს ასრულებდა ქ-ნი ნ. ხოზბეროვისა, არა უკარდა-რა როგორც სცენაზე ახლად გამოსულს. ოტიას როლში შ. ტოგონიძე მეტად სუსტობდა, ფოშას როლი ბ-ნმა ძნელაძემ კარგად შეასრულა.

არა უშავდათ-რა თავიანთ როლებში ქ-ნ ნ. სუმბათოვისას (გადია), ციციშვილს (ადამია), ყარა-ოღლი ნავროზაშვილს (გიორგი), მაჭავარიანს. დანარჩენიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ. ამ სალამოს ხალხი ბევრი დაესწრო და ნასიამოვნებიც დაბრუნდა სახლში. წარმოდგენა დაიწყო ღამის 9 საათ. და გათავდა 1 საათზე.

მადლობის ღირსნი არიან გამმართველნი. იმედია კვლავაც არ დაიშურებენ შრომას ამ სასარგებლო საქმისათვის.

ნიკო ი. მახარაშვილი.

სხვა და სხვა ამბავი

გენერლის ნოგის თავის მოკვლა.

მკითხველებს ალბად ეცოდინებათ, რომ რუსეთ-იაპონიის ომის სახელგანთქმულმა გენერალმა ნოგიმ და მისმა ცოლმა თავი მოიკლეს. საქმე ასე მომხდარა; იაპონიის იმპერატორის დასაფლავების დროს კარის კაცებსა და უმაღლეს პირებს დაუდგენიათ, განსვენებულ იმპერატორის ხსოვნის პატივსაცემლად ვინმე ხარაკირი (თავის ნებით გამოფაშვა) ჩაიდინოსო. კენჭი გენერალ ნოგის რგებია, მის ცოლს ქმრის შემდეგ სიცოცხლე როდიღა მოუსურვებია და თითონაც ხარაკირი ჩაუდენია.

ღია წერილი

ახალ კლუბის გამგეობას.

კვირას, 2 სექტემბერს, თქვენ მიერ გამართულ საბავშვო სალამოზე ითამაშეს საყმაწვილო პიესა „სასამართლო“.

რადგანაც ეს პიესა ვინმე უცნობს გადაუკეთებია ჩემის მოთხრობიდან იმავე „სასამართლოს“ სათაურით, („ნაკადული“ მცირე წლ. 1910 წ. № 9), უმორჩილესად გთხოვთ ჩემს დაუკითხავად ნუღარ გაიმეორებთ ამ პიესას იმ სახით, მით უმეტეს რომ თვითონ მევემაქვს იგი სასცენოდ გადაკეთებული. **ვ. თამროშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა (საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით დილის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 4 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: **სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: **საგარეჯო** მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: **საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: **სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 ს. 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათუმიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: **საგარეჯ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: **სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: **საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

განცხადებანი

მცხეთიდან

ხუთის ვერსის მანძილზე, ალაგ **ნარიკვალში**, **ძმათა მამულაშვილებს**, გვაქვს

ყვავილების სანერგე და ბაღი,

საიდანაც იგზავნება ყვავილები ტფილისს „**სოლეილ დორ**“-ის მაღაზიაში, თამაშევის **ქარვასლის კუთხეში**.

აზრათა გვაქვს დავეხმაროთ ახლო-მახლო სოფლების მკვიდრთ სხვა და სხვა ჯიშის ნამყენ ხეხილების შეძენაში და ბაღის წესიერად მოწყობის საქმეში. ამ საქმისათვის საჭიროა პირველ-ყოვლისა საბაღე ადგილის შერჩევა და მომზადება ისე, როგორც ამას მეცნიერება და გამოცდილობა გვასწავლის. ჩვენს გლეხ-კაცობას კი, არა აქვს არც ცოდნა არც ვარგისი ჯიშის ნამყენი ხეხილებისა, რასაც ეგრე თვალსაჩინოდ ჰმოწმობს მათი მეურნეობა.

ერთსა და იმავე ალაგას წლიდან-წლობით სთესენ და მკიან, მოსავალი წლითი-წლობით კლებულობს, აუარებელი სიმდიდრე მეურნისა, პატივი, უპატრონოთ და უყურადღებოდ იკარგება?

ამიტომ გადავწყვიტეთ მოვაწყოთ ნამყენების სკოლა და **უფასოდ დაურიგოთ** დამყნილი ნერგები იმათ, ვისაც ამის შეძენა არ შეუძლიან.

ამითი გვსურს დახმარება აღმოუჩინოთ იმათ ვისაც ასე ესაჭიროება დახმარება და გზის ჩვენება.

ამ წლიდან დავამყენით საუკეთესო ჯიშის ატამი, როგორც ადრეული, ისე საგვიანო, გარგარი, მსხალი და ვაშლი საზღვარ-გარეთელი.

იმედი გვაქვს, მომავლისათვის, როცა ეს ნამყენები მზათ იქნებიან გადასარგავად, მსურველნი ამ საქმისათვის საჭირო ადგილს დაამზადებენ და ჩვენს სანერგეში იკითხავენ, როგორც დამყნილ ხეხილს, აგრეთვე საჭირო რჩევა დარიგებას.

(1.656.1) მამულაშვილები.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მუღინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ხვეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამზრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საზებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ხვეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1078.206)

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანუარაშვილი.
მაღაზია-სახელოსნოში
მუხრანის ქ., № 2.
ყოველ ნაირი ფეხსაც საუკეთ. მასალ., ზომიერ ფასებში.
(25.549.2„)



სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
[illegible]
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1020.
იღებენ ავადმყოფთ:
ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დილ 11—12 ს.
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრევზსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.
კიმონტი გ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან. სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონიტი და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ, ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომერებიდან.
წამლობა „606“-ით.
([illegible]0—253—[illegible]02)

გ. და მ. ტერ-დავიდიანცის
საბუღალტრო კურსები
ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—17)

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საზებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი. (თ. 1037.57)

სავაჭრო სკოლა უფლებებით და საბუღალტრო კურსები
ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა.
მისაღები და დამატებითი გამოცდა დაიწყება 27 აგვისტოდან. მეცადინეობა დაიწყება სავაჭრო სკოლაში 3 სექტემბრიდან, საბუღალტრო კურსებზე სექტემბრის 15-დან. მიხეილის ქუჩა, სახ. № 53
(5.1472.4)

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი:
I ტ. „ეროვნული პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა“ 80 კ.
III „ „ნაზრევი“ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. 85 კ.



23 ფასიანი ნივთი 3 მან. 45 კ.

1, ლამაზი, მკვიდრი კაცის საათი „ანკერი“ (არა ცილინდრისა), შავის ინგლისური ფოლადისა, 15 ქვიანი, „ქრონომეტრის“ სისტემისა, მომართვა სჭირია 36 საათში ერთხელ, წუთი-წუთად არის გასწორებული, 8 წლის გარანტიას ვიძლევით. 2, კოხტა ძეწკვი, ორ-რიგი, 3, შანა-სინემატოგრაფი, საინტერესო სურათებით, ან კომპასი. 4, საათის შესანახი ნატის ბუდე. 5. კოხტა ბეჭედი „დუბლი“, პარიზის ქვებიანი. 6—9, სატუალეტო ჯიბის ნესესერი ოთხის საინტერესო ნივთით. 10, საათის ქურდთაგან უზრუნველმყოფელი, 11, პარიზული „პლასტიგრაფი“ უჩვენებს ყოველგვარ სანახაობას. 12—17, სამისო ქექსვი საინტერესო სურათი. 18, ნიკელის სამწერლო მოწყობილობა ჯიბით სატარებლად. 19 კოხტა, მოვერცხლილი საწუწუნო. 20, ჯიბის, დასაკეცი მაკრატელი ინგლისურ ფოლადისა. 21, საშინაო სტამბა—ორის 10,-მდე ასო და ციფრი დასაბეჭდი. 22, სრული მოწყობილობა სტამბისათვის. 23, ტყავის ახალ მოდის პორტმანე 6 განყოფილებიანი, ძალიან თხელი და სატარებლად მოხერხებული. მთელ გარნიტ. **ფასი 3 მ. 45 კ.**, 2 გარნიტ. **6 მ. 45 კ.**, ამასთანავე გარნიტ. უმაღლეს ხარისხის ნივთ. თხელის საათითა—**4 მ 45 კ.**, 2 გარანტური—**8 მ. 45 კ.** ხუფიანი საათი, ახუ კალისა ყველა საჩუქრებითა 1 მან. ძვირადაა. გზავნა **40 კ.**, ციმბირში **70 კ.** უზ-ზავნით ფასდადებით, უბეოდ.

უფასო პრემია 8 მანეთად ღირებული

ადრესი: Т-ву „Патентъ“, варшава, Св. Креста № 48, отд. 116.
გთხოვთ ადრესი ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტსა ან ღია ბარათზე.
Метцль. 44333. (2—1459—5)

მივიღეთ მარიამობისთვის
შვედური და დელიკატესნი კილკები.
თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
ბოჭკის საუკეთესო
ხიზილალა,
გირვანქა 1 მ. 60 კ.
აგრეთვე მოგვდის ცოცხალი ლოქო
და კობრი, (საზანი.)
(წ.1131.246)

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას,
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—13047.3)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“